

## საქართველო


კოვიდ-19-ის შეკავების ღონისძიებებმა და ტურიზმის მკვეთრად შემცირებამ 2020 წელს სერიოზული დარტყმა მიაყენა მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ). 2021 წელს შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნა ხელს შეუწყობს ზრდას მიმდინარე წლის განმავლობაში, რაც კიდევ უფრო დაჩქარდება 2022 წელს, ტურიზმის აღდგენის ფონზე. 2020 წელს გაიზარდა ინფლაცია სურსათისა და ჯანდაცვაზე ფასების მატების სახით, მაგრამ მოსალოდნელია ინფლაციის გარკვეული შენელება 2021 და 2022 წლებში, როდესაც შოკები შემცირდება და მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდება. საგარეო მოთხოვნა და ტურიზმის აღდგენა შეამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. სოფლის მეურნეობის გარდაქმნამ შესაძლოა გაზარდოს სურსათის ექსპორტი.

## ეკონომიკის მდგომარეობა<sup>1</sup>

2019 წელს რეალური მშპ-ს 5.0%-ით ზრდა 2020 წელს 6.2%-იანი კლებით შეიცვალა, რადგან კოვიდ-19-ის შემთავებელი ზომების შედეგად შემცირდა შიდა მოთხოვნა, ხოლო ტურიზმისა და ექსპორტის მკვეთრმა შემცირებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საგარეო სექტორს. მიწოდების მხრივ, 2019 წელს მომსახურების 6.4%-იანი ზრდა 7.8%-იანი შემცირებით შეიცვალა კომპონენტის უმრავლესობის შემცირების, მათ შორის საბინაო და სასურსათო მომსახურებების 38.0%-ით, ტრანსპორტისა და დასაწყობების სფეროს 22%-ით, ხოლო ხელოვნების, დასვენებისა და გართობის სფეროს 18.3%-ით შემცირების ფონზე. მრეწველობაზე არსებული მცირე მოთხოვნა 2019 წლის 2.3%-იანი ზრდიდან 2.8%-მდე შემცირებით შეიცვალა სამშენებლო და კომუნალური სფეროს შემცირების ფონზე, სამთომომპოვებელი მრეწველობისა და დამამუშავებელი მრეწველობის ზრდის მიუხედავად. სახელმწიფო დახმარებით, სოფლის მეურნეობის ზრდამ 2019 წელს არსებული 0.8%-დან 3.5%-მდე მოიმატა (ნახაზი 3.3.1).

მოთხოვნის თვალსაზრისით, ფისკალური სტიმულის ზრდა მოხმარების მხრივ გაგრძელდა დადებითი 5.4%-ით, თუმცა აღინიშნა კლება 2019 წლის მონაცემებთან — 7%-თან შედარებით, კერძო მოხმარების 5.4%-ით, ხოლო სახელმწიფო მოხმარების 5.7%-ით ზრდის ფონზე. ინვესტიციები შემცირდა 4.8%-ით, კერძო ინვესტიციების მხრივ კი 11.3%-იანი კლება აღინიშნა, ხოლო ტურიზმისა და საგარეო მოთხოვნის შემცირებამ

Figure 3.3.1 GDP growth by sector




GDP = gross domestic product.

Source: National Statistics Office of Georgia.

<http://www.geostat.ge> (accessed 31 March 2021).

Figure 3.3.2 Monthly inflation



Source: National Statistics Office of Georgia.

<http://www.geostat.ge> (accessed 5 April 2021).

<sup>1</sup> წინამდებარე თავის ავტორია გიორგი ლუარსაბიშვილი, მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში, ADB, თბილისი.

## ეკონომიკური ტენდენციები და პროგნოზები განვითარებად აზიაში: ცენტრალური აზია საქართველო


გამოიწვია საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის 2019 წლის მონაცემებით არსებული 4.1%-იანი ზრდის შეცვლა 63.5%-იანი შემცირებით 2020 წელს.

მიწოდების მხრივ არსებულმა შეფერხებებმა და ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია ინფლაციის ზრდა 2019 წელს არსებული 4.9%-დან 5.2%-დე, სურსათსა და არაალკოჰოლურ სასმელებზე ფასების ზრდის ფონზე 10.6%-ით და ჯანდაცვაზე 6.5%-ით, რამაც გადაწონა დეფლაცია ტრანსპორტის, დასვენებისა და კულტურის სფეროში (ნახაზი 3.3.2). ლარის ნომინალური გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით 10.3%-ს შეადგენდა, ევროსთან მიმართებით 12.6%-ს, ნომინალური ეფექტური გაუფასურება 4.2%-ს, რეალური ეფექტური გაუფასურება კი 2.9%-ს (ნახაზი 3.3.3).

პანდემიაზე რეაგირების მიზნით გატარებულმა ექსპანსიურმა ფისკალურმა პოლიტიკამ საბიუჯეტო დეფიციტი გააღრმავა 2019 წელს არსებული მშპ-ს 2.0%-ის ექვივალენტიდან 9.3%-მდე, ეკონომიკური აქტივობის შემცირების შედეგად მიზნობრივთან შედარებით 3.9%-ით შემცირებული შემოსავლებისა და ფისკალური მხარდაჭერის ღონისძიებების შედეგად 23.7%-ით გაზრდილი დანახარჯების ფონზე (ნახაზი 3.3.4). 2020 წელს მიმდინარე დანახარჯები გაიზარდა 2019 წელს არსებული მშპ-ს 22.0%-ის ექვივალენტიდან 27.1%-მდე, ხოლო კაპიტალური დანახარჯები შენარჩუნდა მშპ-ს დაახლოებით 8.0%-ზე. განვითარების პარტნიორებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფოს ანტიკრიზისულ გეგმას, რაც მოიცავდა ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაწევას, ჯანდაცვის დაფინანსების ზრდას და გადასახადებისგან გათავისუფლებასა და საგადასახადო შეღავათებს კერძო სექტორისთვის, ასევე ლიკვიდური ფულადი სახსრების დაბანდებას. დიდი დეფიციტისა და ლარის დაცემის შედეგად 2020 წელს გაიზარდა სახელმწიფო ვალი 2019 წელს არსებული მშპ-ს 45.2%-ის ექვივალენტიდან 62.9%-მდე. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, დაფინანსდა განვითარების პარტნიორების მიერ შეღავათიანი პირობებით, რითაც საგარეო სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 50.4% შეადგინა (ნახაზი 3.3.5).


მონეტარული პოლიტიკა ზომიერად მოქნილი რჩებოდა ეკონომიკის მხარდასაჭერად. ცენტრალური ბანკმა — საქართველოს ეროვნული ბანკმა 2020 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯამური 100 საბაზისო ქულით — 8.00%-მდე შეამცირა. ფულის მასის ზრდა 2019 წელს არსებული 16.7%-დან 23.3%-მდე დაჩქარდა კერძო კრედიტების 21.0%-იანი ზრდის ფონზე. პრობლემური

Figure 3.3.3 Exchange rates



Source: National Bank of Georgia. <http://www.nbg.gov.ge> (accessed 5 April 2021).


Figure 3.3.4 Fiscal indicators



GDP = gross domestic product.

Source: International Monetary Fund. [www.imf.org](http://www.imf.org); Ministry of Finance of Georgia. [www.mof.ge](http://www.mof.ge) (both accessed 31 March 2021).

Figure 3.3.5 Government gross debt and gross external debt



Source: National Bank of Georgia. <http://www.nbg.gov.ge> (accessed 31 March 2021).

## აზიის განვითარების პროგნოზი 2021


სესხების პროცენტი მცირედით გაიზარდა 2019 წელს არსებული 1.9%-დან 2.3%-მდე, მაგრამ შესაძლებელია კიდევ გაიზარდოს 2021 წელს, როდესაც სესხების დაფარვაზე მოიხსნება დროებითი მორატორიუმი. 2020 წელს უცხოურ ვალუტაში არსებული ანაბრების პროცენტი 2019 წლის 61.0%-დან 62.7%-მდე, ხოლო სესხებისა — 54.6%-დან 55.1%-მდე გაიზარდა (ნახაზი 3.3.6). 2020 წლის განმავლობაში, ძირითადად უცვლელი დარჩა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, რაც სესხებზე 12.2%-ს, ხოლო ანაბრებზე 6.8%-ს შეადგენდა, იმ პირობებში, როდესაც ბანკების უკუგება აქტივებსა და კაპიტალზე ნულს მიუახლოვდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ორჯერ და მეტად გაიზარდა 2019 წლის მონაცემებით არსებული მშპ-ს 5.5%-ის ექვივალენტიდან 12.3%-მდე კოვიდ-19-ის გამო ტურიზმის შემცირებისა და საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური რეცესიის ფონზე. საქონლის ექსპორტი 12.3%-ით დაეცა, ხოლო შიდა მოთხოვნის შემცირების შედეგად საქონლის იმპორტმა 13.8%-ით იკლო. მომსახურების ექსპორტი 65.5%-ით შემცირდა, საერთაშორისო მგზავრების 80%-ზე მეტი, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 90%-ით შემცირების პარალელურად. გზავნილები 8.8%-ით გაიზარდა, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც იტალიიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან და აშშ-დან შემოდინების ზრდა აკომპენსირებდა რუსეთის ფედერაციიდან შემომავალი გზავნილების შემცირებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევრამდე და მეტად დაცემისა და ლარის კურსის შენარჩუნების მიზნით ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მასობრივი გაყიდვის მიუხედავად, მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 2019 წლის ბოლოსათვის არსებული 3,5 მილიარდი აშშ დოლარიდან, ერთი წლის შემდეგ 3,9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა განვითარების პარტნიორთა მხრიდან გაზრდილი შემოდინების, განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების პროგრამის ხარჯზე.

## ეკონომიკური პერსპექტივები


ADB ვარაუდობს, რომ 2021 წელს ზრდა 3.5%-ზე დაბრუნდება შიდა მოთხოვნისა და კერძო მოხმარების ეტაპობრივი გამოცოცხლების ფონზე, 2022 წელს კი, როდესაც ტურიზმის მოსალოდნელი აღდგენისა და ეკონომიკის სრული გახსნის შედეგად გაიზრდება მოგზაურობა და ვაჭრობა, 6.0%-მდე მოიმატებს (ნახაზი 3.3.7 და ცხრილი 3.3.1). ვაქცინაციის პროცესი ნელა დაიწყო, მაგრამ ტემპის აკრეფა მოსალოდნელია 2021 წლის ბოლო კვარტალში. მოსალოდნელია ასევე 2021 წელს

**Figure 3.3.6 Dollarization rate of loans and deposits**



Sources: National Statistics Office of Georgia. <http://www.geostat.ge> (accessed 31 March 2021); Asian Development Bank estimates.

**Figure 3.3.7 GDP growth**



GDP = gross domestic product.

Sources: National Statistics Office of Georgia. <http://www.geostat.ge> (accessed 31 March 2021); Asian Development Bank estimates.

**Table 3.3.1 Selected economic indicators, %**

	2019	2020	2021	2022
GDP growth	5.0	-6.2	3.5	6.0
Inflation	4.9	5.2	5.0	3.5
Current acct. bal., share of GDP	-5.5	-12.3	-10.0	-7.0

GDP = gross domestic product.

Sources: National Statistics Office of Georgia; National Bank of Georgia; Asian Development Bank estimates.



## ეკონომიკური ტენდენციები და პროგნოზები განვითარებად აზიაში: ცენტრალური აზია საქართველო


მრეწველობის ზრდა 7.6%-ით, წლის განმავლობაში ფისკალური სტიმულირების გაგრძელების ფონზე, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო და სხვა დარგების მხარდაჭერას და საგარეო მოთხოვნის ზრდის შედეგად, განსაკუთრებით 2022 წელს, როდესაც პროგნოზირებულია მშპ-ს ზრდა 6%-ით. მთავრობის მიერ სურსათის უწყვეტი მიწოდებისკენ მიმართული ღონისძიებების შედეგად, 2021 წელს მოსალოდნელია სოფლის მეურნეობის ზრდა 3.2%-ით, ხოლო 2022 წელს 3.9%-ით. 2021 წელს მომსახურება მხოლოდ მცირედით 2.5%-ით გაიზარდება, რადგან შეზღუდვები წლის განმავლობაში გარკვეული პერიოდით შენარჩუნდება, რაც შეაფერხებს ტურიზმსა და სხვა საქმიანობებს, ასევე სურსათისა და საბინაო სექტორებს. მომსახურებების ზრდის აღდგენა მოსალოდნელია 2022 წელს 5.6%-ით.

მოთხოვნის მხრივ, მოხმარება გაიზარდება 7.3%-ით 2021 წელს, კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის ფონზე და დამატებითი 5.0%-ით 2022 წელს, რაც ასახავს კრედიტებისა და გზავნილების ზრდას. 2021 წელს მოსალოდნელია ინვესტიციების შემცირება კერძო ინვესტიციების 7.5%-ით კლების ფონზე, რაც განპირობებულია კომპანიების ლიკვიდაციით, ასევე სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობით და რესტრუქტურისაციით, მიუხედავად შიდა მოთხოვნის ზრდის მიზნით განხორციელებული ფისკალური სტიმულირებისა. ინვესტიციები გაიზარდება 2022 წელს კერძო ინვესტიციების ზრდის ფონზე. საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის ზრდა მოსალოდნელია 3.3%-ით 2021 წელს და 16.3%-ით 2022 წელს, ექსპორტის იმპორტთან შედარებით სწრაფი ზრდის პირობებში.

2021 წელს მოსალოდნელია ინფლაციის შენელება 5.0%-მდე და 2022 წელს 3.5%-მდე, რაც მაინც აღემატება ინფლაციის სამიზნე დონეს 3.0%-ს, მონეტარული პოლიტიკის ინფლაციურ ზეწოლასთან ბრძოლისა და ლარის ცვალებადობის შემცირებისკენ სწრაფვის პირობებში. ფულის მასის ზრდა მოსალოდნელია 15.5%-ით 2021 და 16.5%-ით 2022 წელს, თუმცა აღნიშნული ზრდა ნაკლებია 2020 წელთან შედარებით კერძო სექტორზე გაცემული კრედიტის ზრდის ფონზე, რაც 2021 წელს 8.4%-ით, ხოლო 2022 წელს 9.0%-ით მოიმატებს.


ფისკალური დეფიციტი შემცირდება, მაგრამ დარჩება მაღალი — 2021 წელს დროებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გაგრძელების ფონზე 7.5%-მდე და 2022 წელს 5.0%-მდე, როცა სტიმულირება შესუსტდება. მიზნობრივი დროებითი დახმარება მოიცავს უმუშევართა ყოველთვიურ დახმარებას,

**Figure 3.3.8 Current account balance**




GDP = gross domestic product.  
Sources: National Bank of Georgia. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) (accessed 31 March 2021); Asian Development Bank estimates.

**Figure 3.3.9 Gross international reserves**



Sources: National Bank of Georgia. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge); International Monetary Fund. [www.imf.org](http://www.imf.org) (both accessed 31 March 2021); Asian Development Bank estimates.

**Figure 3.3.10 Total external debt**



GDP = gross domestic product.  
Source: International Monetary Fund. [www.imf.org](http://www.imf.org) (accessed 31 March 2021).

## აზიის განვითარების პროგნოზი 2021

საგადასახადო შედეგათებს კერძო კომპანიებისთვის, რომლებიც შეინარჩუნებენ თანამშრომლებს და კომუნალური მომსახურების საფასურის დაფარვას ოჯახების დასახმარებლად. მიმდინარე დანახარჯების შემცირება მოსალოდნელია 2021 წელს მშპ-ს 25.1%-მდე და 2022 წელს 23.2%-მდე, საჯარო სექტორში ხელფასების რაციონალური მართვისა და საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შემცირების გზით. კაპიტალური დანახარჯები შემცირდება მშპ-ს 7.5%-მდე 2021 წელს და 7.0%-მდე 2022 წელს, საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ხარჯების შენარჩუნების პირობებში. ორივე წელს მოსალოდნელია შემოსავლების ზოგადი სტაბილურობის შენარჩუნება მშპ-ს 25.0%-ის ოდენობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოუწოდა გაუმჯობესდეს სახელმწიფო ინვესტიციების მართვა და მმართველობა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოებში. ეს მოიცავს პროექტების შეფასების, შერჩევისა და განხორციელების პროცესის მეთოდოლოგიის რაციონალიზებას და საინვესტიციო პროექტების ფისკალური ხარჯებისა და რისკების მართვის გაუმჯობესებას.

ზრდის განახლებისა და დეფიციტის შემცირების ფონზე 2021 წლის ბოლოს მოსალოდნელია სახელმწიფო ვალის შემცირება მშპ-ს 59.1%-ის ექვივალენტამდე, როდესაც საგარეო სახელმწიფო ვალი მშპ-ს 48.0%-ს შეადგენს, და შემდგომი შემცირება 56.9%-მდე, საიდანაც საგარეო ვალის წილი მშპ-ს 45.1%-ს შეადგენს, ერთი წლის შემდეგ. ხელისუფლება გეგმავს 500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სუვერენული ვერობლიგაციების გამოსყიდვას, რომელთა დაფარვის ვადა 2021 წლის აპრილშია, ახალი ვერობლიგაციების ემისიის გზით.

მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდება 2021 წელს მშპ-ს 10.0%-მდე და 2022 წელს 7.0%-მდე, საქონლით ვაჭრობის ბალანსისა და ტურიზმის ეტაპობრივი გაუმჯობესების ფონზე (ნახაზი 3.3.8). საქონლისა და მომსახურების ექსპორტი გაიზრდება 7.1%-ით 2021 წელს, საგარეო მოთხოვნის მცირე გაუმჯობესების ფონზე და 20.4%-ით 2022 წელს, როდესაც გაძლიერდება გლობალური აღდგენა. ზომიერად გაიზრდება საქონლისა და მომსახურების იმპორტი 2021 წელს 3.6%-ით, შიდა მოთხოვნის ეტაპობრივი აღდგენის პარალელურად და 8,9%-ით 2022 წელს, როდესაც აღდგენა გაძლიერდება. მომსახურების ექსპორტის ზრდა მოსალოდნელია 14.1%-ით 2021 წელს, ხოლო თითქმის განახევრება 2022 წელს, მოგზაურობისა და ტვირთების გადაზიდვის აღდგენის ზრდის ფონზე.

2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მატების შემდგომ, გზავნილების ზრდა 2021 წელს მხოლოდ 0,4%-ით არის პროგნოზირებული, 2022 წელს — 1,2%-ით, გლობალური ეკონომიკის გაძლიერების პარალელურად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომი მოსალოდნელი კლების ფონზე, 2021 წელს მოსალოდნელია მთლიანი საერთაშორისო რეზერვების შემცირება 3.5 მილიარდ აშშ დოლარამდე. თუმცა, 2022 წელს ტურიზმის ზრდის ფონზე ადგილი ექნება აღდგენას 3.7 მილიარდ აშშ დოლარამდე (ნახაზი 3.3.9). 2021 წლის ბოლოს, საგარეო ვალი, კომპანიათშორისი სესხის გამოკლებით, შემცირდება მშპ-ს 106.5%-მდე, ხოლო ერთი წლის შემდეგ ადგილი ექნება შემდგომ შემცირებას 102.7%-მდე (ნახაზი 3.3.10). აღნიშნული პროგნოზები ექვემდებარება კლების რისკებს: საერთაშორისო დონეზე სავაჭრო პარტნიორების მხრიდან მოლოდინების ვერ გამართლების ან ქვეყნის შიგნით პანდემიასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოსალოდნელზე უფრო ხანგრძლივად გაგრძელების ფონზე.

## პოლიტიკის გამოწვევა — სოფლის მეურნეობის გარდაქმნა

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. იგი ამჟამად მშპ-ს 7.2%-ს შეადგენს და მცირედით აღემატება საშუალოზე

## ეკონომიკური ტენდენციები და პროგნოზები განვითარებად აზიაში: ცენტრალური აზია საქართველო

მაღალშემოსავლიან ქვეყნებში სოფლის მეურნეობის საშუალო წილს - 6.1%, მაგრამ ამ დარგში დასაქმებული სამუშაო ძალის წილი - 40%, თითქმის ორჯერ აღემატება საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მონაცემებს. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა ექსპორტის შედარებით მცირე წილს იკავებს. 2020 წელს, სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის თითქმის 70% მხოლოდ რამდენიმე პროდუქტით შემოიფარგლებოდა, კერძოდ ღვინით, მინერალური წყლითა და თხილეულით— და ეს არ შეცვლილა წლების განმავლობაში. ბოლო პერიოდის ზრდის შემდეგაც კი, ახალი და დამუშავებული ხილის, ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების საგარეო გაყიდვები მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 3%-ს შეადგენდა. მართლაც, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი წელიწადში 1 მილიარდ აშშ დოლარის შეადგენს, რაც ემატება ქვეყნის ისედაც მაღალ სავაჭრო დეფიციტს.

საქართველოში სოფლის მეურნეობა არა ერთი გამოწვევის წინაშე დგას. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია არასაკმარისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მიწოდების ჯაჭვები და სამაცივრე ობიექტები, რაც უზრუნველყოფს მაღალი ფასების პირობებში პროდუქტების არასეზონური ტრანსპორტირების შესაძლებლობას. სხვა გამოწვევებია ბრენდის დაბალი ცნობადობა, ნაკვეთების სიმცირე და საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების არარსებობა, არასრულყოფილი წვდომა ინფორმაციაზე და ფინანსური წიგნიერება. სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის დამუშავება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 1%-ზე ნაკლებს იზიდავს საქართველოში. ამასთან, ფერმერები მარტივად ვერ სარგებლობენ ისეთი მექანიზმებით, როგორცაა საბანკო სესხების უზრუნველყოფა.

საქართველოს 2021–2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს აგრობიზნესის კონკურენტულობის ამაღლებას და ითვალისწინებს სახელმწიფოს მხარდაჭერას ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განსახორციელებლად, სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით. სახელმწიფოს ერთიანი აგროპროექტი, რომლის მიზანია უფრო მაღალი ღირებულების მქონე სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის ხელშეწყობა, მოიცავს იმ მეწარმეთა სესხებით მხარდაჭერას, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი კულტურებით დივერსიფიკაციას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობასა და კონკურენტულობას კოოპერატივებში უფრო ეკონომიური მეთოდების წახალისების გზით. ამოქმედდა სოფლის მეურნეობის დაზღვევის პროგრამა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პოპულარიზაციის პროგრამას და სახელმწიფო მხარს უჭერს კერძო ინვესტიციების განხორციელებას ღირებულებათა ჯაჭვებსა და ლოგისტიკურ ობიექტებში. კოვიდ-19-ზე რეაგირების გეგმის ფარგლებში და შიდა წარმოების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ გაზარდა ფერმერების მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების, სათბურების მშენებლობისა და მრავალწლოვან კულტურებზე დაზღვევის გავრცელების გზით.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, ხელისუფლებას შეუძლია მეტი გააკეთოს სოფლის მეურნეობის ღირებულების ზრდის მიზნით საფერმო მეურნეობის ცოდნის, კავშირების, ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების გზით. აგროტექნოლოგიური პარკების ჩამოყალიბებამ, ბაზარზე წვდომის გამარტივებამ და კერძო ინვესტიციების მოზიდვამ შესაძლოა გაზარდოს კონკურენცია და საექსპორტო პოტენციალი. საგზაო ინფრასტრუქტურაში კარგად მომზადებული ინვესტიციების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლოგისტიკურ ცენტრებისა და სასაწყობო ობიექტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მხრივ. პროდუქტიულობის

## აზიის განვითარების პროგნოზი 2021

ზრდის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციების წახალისება საირიგაციო სისტემებში, ასევე მიწათსარგებლობის რაციონალიზება და მოსავლის მართვის გაუმჯობესება.

არასაკმარისი, მცირე ნაკვეთების კონსოლიდირება უკეთესი მიწათსარგებლობისა და პროდუქტიულობის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა მიწის რეგისტრაციის საკადასტრო რუკების განახლება გლობალური პოზიციონირების სისტემისა და სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. სტანდარტიზების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველოს ასევე ესაჭიროება სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის ხარისხის ამაღლება და პროდუქციის ერთგვაროვნების გაუმჯობესება. შედეგად, საქართველო შეძლებს ხარისხიანი ორგანული და სხვა ნიშური პროდუქტების წარმოებასა და ექსპორტზე გატანას ევროკავშირსა და სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში — დღევანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, როდესაც დაბალი ხარისხის მქონე პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება განვითარებად ბაზრებზე. ამის მიღწევას ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული ჭკვიანი ინვესტიციები და სავაჭრო ნაკადების ახალი ბაზრებისკენ მიმართვა.

და ბოლოს, სახელმწიფომ უნდა განაგრძოს სოფლის მეურნეობის ჩართვა უფრო ფართო ეროვნულ დღის წესრიგში, ერთიანი მიდგომების გამოყენებით სურსათის უვნებლობის, სიღარიბის დაძლევის, კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვისა და ვაჭრობის დარგებში.